

სახალხო ფურცელი

საქართველო
საქართველო

სურათებიანი წამატილი

გაზეთის № 205

ღამატილის № 37

კვირა, 8 თებერვალი 1915 წ.



5353

(1840—1915)



აკაკის მამა თავადი როსტომ
წერეთელი



ქ.ბ.ა

აკაკის დედა ეკატერინე ივანე
აბაშიძის ასული



აკაკი მისი ცოლი და შვილი ალექსი.




აკაკის მეუღლე ნატალია პეტრე
ბაზილევსკის ასული ახალგაზ-
დობაში



ქ.ბ.ა

აკაკი სტუდენტობის დროს და
მისი საცოლო
ქ-ნი ბაზილევსკისა



აკაკის აკვანი რომელიც ინახება ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების მუზეუმში

ყ ვ ა ვ ი ლ ი

სად ვიშოვო ის ყვაილი, საქართველოს რომელ მხარეს?
რომ ერთბაშად აღსახედეს შვებასა და სიმწუხარეს!
სად ვიშოვო ის ყვაილი, რომელს ბალში ამოზრდილი,
რომ ერთუამად მიაფინოს მგოსნის ცხედარს ნათელ-ჩრდილი!

ყვაილნარმა გაიგო მიცვალება მგოსნისა,
საკმეველად სულნელი მუშკამბარი მოსრისა!
და ვარდნიც შეიმოსენ ვარდისფერი ფიქრებით:—
„დიდის მგოსნის ცხედარზე მოფენილნი ვიქნებით!“

მეც მსურს ვიყო ყვაილი, და ჩამოვწყდე ღეროზე,—
მგოსანს გავყევი, ვითარცა ფიქრი საქართველოზე

ბაბილინა.



† აკაკის უფროსი ძმა დავითი

აკაკის ხსოვნას

რად დაგვაობლე მგოსანო
შეგემოსე შავის ძაძითა!
ვილა უმღერებს სამშობლოს
შენებრივ ტკბილი ჰანგითა!

ვილა სცემს ნუგეშს მომავალთ
ძლიერის კარანახითა!
ვინ გაუღიმებს სამშობლოს
მაგ ღვთაებრივი სახითა.

დავკარგეთ ერის დიდება,
დავკარგეთ დიდი მგოსანი,
სამშობლოს მოტრფე, მოღვაწე
ტკბილ მოუბარი ხმოსანი.

ნინო ორბელიანი.



აკაკის ძმა ილიკო

უკანასკნელად


უკანასკნელად მზე მშობლიური
დაჰკოცნის შენს ზეციურ სახეს,
უკანასკნელად მოზარე ერი
აღმოსთქვამს შენთან თვის სივარდსა—
სამშობლოს გულში გლოვის ქურუმი
ზარს ჩამოჰრეკავს უკანასკნელად
და... მერე ყველას საფლავის მტვერი
გადეფინება უგულო მცველად!..

წუთებით შექმნილ საუკუნესაც
მოჰკლავს უწყალო არ ყოფნის ხელი,
თვით სიკვდილიც კი გარდაიცვლება,
მაგრამ იცოცხლებს შენი სახელი
და, ვით გენია თავისუფლების,
ცეცხლიანის ხმით მოგვიწოდებს ჩვენ—
ბნელის ჯაჭვების დასამსხვრეველად,
სიცოცხლისა და განახლებისკენ!..


და დღეს კი, დღეს კი შენს მზიურ სახეს
მზე გადაჰკოცნის უკანასკნელად!..
ჩამოგვშორდები და ჩვენსა ნალევს
გულს ჩავიმარხავთ გამოუთქმელად!..

ს. ფაშალიშვილი.

ბეკა და სხვა




ბ.ბ.



ბ.ბ.



აკაკი და თამარიკო დიასამიძე



ბ.ბ.


შორით მეხმა კიდევ დაგვკრა, კვლავ გაისმა გლოვის ზარი, სევდის ფანდურს აზუზუნებს ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი. დედათ გული იმდღურება, საკინძს იხსნის ვაჟკაცთ ჯარი, კვლავ დაღონდა საქართველოს ჭირ-ნახული ბჭე და კარი. იქ რიონი მოსჩქებს მწარედ და აქ კენესის ღინჯი მტკვარი, გომბორს იქით ალაზანი კლდეებ შუა მონაჩქარი, მათ ვაებას და მათ წუხილს ეზიდება ყველგან ქარი: ალარა გვყავს ჩვენ აკაკი ტკბილის ენით მოუბარი. სიცოცხლე და სიამაყე ტურფა კუთხის მამაც ერის, გულს სიმები დასწყვეტია, და ჩონგური ალარ ჟღერის. მხოლოდ კავკასიის ქედზე „მიჯაჭვული ამირანი“ იბრძვის თავის ასახსნელად, ირყევიან კლდე და მთანი. იბრძვის, განა ჩვენებრ სტირის და მონურად ჩუმად გმინავს, უნდა მთელ ერს გადმოსძახოს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!“ მარტო ხორცმა მოისვენა, სულს აქა აქვს კვლავ საღვთო, ახლა უფრო მეტად დაჰკრავს სიმართლის ხმას მის ჩონგური. აღიღვებულ სიმთა ჟღერით კვლავ გამოსთქვამს ლხინსა და ჭირს უფრო მძლავრად მოედება გურგენის და შავი ზღვის პირს. მეც ამირანს უერთდები განა მარტო ერთის გულით, ჩემის ნინო თამარითა და ქეთევან წამებულთ. სანამდის კი უდგას სული ჯვარის მზიდველ საქართველოს ვინ დაანგრევს დიდ ილიას და აკაკის სამლოცველოს.

მიო მღვიმელი

სხვა დროს



ძ.ბ.ა.



აკაკი ბავშვებში



ძ.ბ.ა.

აკაკის


(ლექსი წაკითხული საჩხერეში).

ჩვენ ბევრი ვართ, შენს კალთაში შენის ჩანგით გამოზრდილნი,
ვით ყვავილნი მრავალ-ფერნი, ჩვენს მამულში ტურფად შლილნი,
ჩვენ შენს ხსოვნას ნათელ-მზიურს მოკრძალებათ გარს ვეხვევით,
და შენს ლოცვას მარადიულს ვიმეორებთ სიმთა რხევით.

ჩვენ სიმები შენი ჩანგის დავირიგეთ თითო-თითოდ,
გვსურს, მოძღვარო, შენი ღმერთი ჩვენცა ვაქოთ, ჩვენც ვადიდოთ;
ჩვენ ავკინძავთ ჩვენს სიმღერებს, ყვავილებით დავამშვენებთ
და გვირგვინად შეკრულ ჰანგებს შენს საფლავზე დავასვენებთ.

და თუ ჩვენი სიმთა ტალღა ათამაშდა ვით ჩანჩქერი,
თუ შევქმენით ლოცვა წმინდა, ლოცვა შენი შესაფერი,
შენ მიიღე ის ღალადი, ანთებული ვით პატრუქი,
შენი შენვე დაგებრუნდეს: მზეს უჩრდილოს—მთვარის შუქი.

ს. აბაშელი.





აკაკი ივ. ელიაშვილის შვილებთან

მამა (მამა) შვილებთან... (მამა-
მამა მამა მამა)

მამა (მამა) შვილებთან... მამა მამა
მამა მამა მამა მამა მამა მამა
მამა მამა მამა მამა მამა მამა
მამა მამა მამა მამა მამა მამა
მამა მამა მამა მამა მამა მამა

მამა (მამა) შვილებთან... მამა მამა
მამა მამა მამა მამა მამა მამა
მამა მამა მამა მამა მამა მამა

მამა მამა მამა მამა მამა მამა
მამა მამა მამა მამა მამა მამა



აკაკი და კოტე ბაქრაძე ჰანდრაკს თამაშობენ. სდგანან: განსვენებული კოტე მესხი, დათიკო მესხი და ნაკაშიძე



აკაკი ბალში (გაღაღებულია)



ქ.გ.ა

სცენის მოღვაწედა ყრილობის პრეზიდიუმი

აპაპის სიკვდილზე

როს ომის ღმერთმა ცისა კედლიდან
შეუმჩნევლად ჩამოხსნა ხმალი,
პოეზიის ღმერთს თვისმა ამაღამ
შეშინებული მიაპყრო თვალი

და რა წამოდგა ზე აპოლონი,
თავხედმა ხმალი მსწრაფლ მოუღერა;
შეჰყვირა: „შესდეგ, დააგდე ჩანგი!
ბრძანე, შესწყვიტონ ყველგან სიმღერა!“

და ბნელ-უფესკრულში შიშველი ხმალით
რა ძირს დაეშვა, გამოირბინა,
ზარბაზანთ გრეინვა, ქექა, ქუხილმა
შემქრთალი მუხა ცათ ააფრინა.

თვის სულის სატრფოს ჩვენი მგოსანი
ვერ ჩამოშორდა თან აჰყვა ცაზე;
გაქრა, მოვშორდით ციურ მგალობელს,
ცრემლით და სისხლით მორწყულ მიწაზე.

ჩემო სამშობლო აწ გეკითხები:
როდის გელირსოს ტკბილი სიმღერა?
გლოვისა ზარი, გლოვისა ზარი!
ქართული ჩანგის დადუმდა ჟღერა!!!

კატო მიქელაძე.

არ მომკვდარა!..

ა კ ა კ ი

არ მომკვდარა!..

არ მომკვდარა!

ხმა გაისმის, ვითა ზეცით, მთა და ველად, იღუმალად.

არ მომკვდარა, გარდაცვლილა!

დაჰჟურჩულებს არე-მარეს, ზამთრით მოსილს, მგლოვიარეს.

არ მომკვდარა!

ჩახმაურობს მომდინარე ზღვისა შვილი, ცისა ცრემლი, ნაკადული...

არა, არა. არ მომკვდარა!..

ვით სხეული გარდაცვლილა!

ხოლო სული, ვით უკვდავი, ზეცით ჩვენთვის მოვლენილა...

მისი სული ედემშია, სადაც ვარდი ზამთრის პირსა აუწვია,
დაუჰკენია...

და იხარებს იგი სული, როს დადგება გაზაფხული, ტყვე ბულ-
ბულის სანატრელი...

არა, არა, არ მომკვდარა!

ვით სხეული გარდაცვლილა...

ხოლო სული უკვდავია, ვით არსება, ის ჩვენშია...

ს. გლახაშვილი.